„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ТИФЛИСЪ, ред. „ДРОЭБА“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით— 8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. ...სტრიქონისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

მიიღება ნახევარ-წლით ხელის-მოწერა გაზეთს

## „დროებაზე“

ივლისის პირველიდამ წლის დამლევამდე

ფასი ხუთი მანათი

სოფლის მასწავლებელთათვის

ოთხი მანათი

ვისაც დღემდე არ შემოუტანია მეორე ნახევარ-წლის ფასი, რედაქცია სთხოვს დააჩქარონ ფულის გამოგზავნა, თუ არა სურთ, რომ ივლისის 1-დამ გაზეთი მოესპოთ.

უმორჩილესად სთხოვენ ნაცნობებს და მეგობრებს მობძანდენ სოფელს ბრეთში ამა ივნისის 29-ს, წლის წირვაზედ თ. ბიგო იოსების-ძე აბალიშვილის მოსახსენებლად, სადაც ამ დღეს მისი მეგობრებისაგან დადგმული იქმნება საფლავზედ სახსოვარი. (2—1)

## შინაური ქრონიკა

მეორე კვირა გადის, რაც თბილისში პაპანაქება სიცხეები სდგას. ჩვენს პოლიციასა და ქალაქის გამგეობას ეხლა სჭირიათ სიფხიზლე, თორემ საოცარი სენი გვიბღვერის შორიდამ და თუ ჩაგვიდგა, ფეხი მოიკიდა—მშვიდობით. ეს სენი გახლავთ ხოლერა, რომელმაც იმდენი იმსხვერპლა ევროპაში შარშან და წელსაც ეწვია ესპანიას და იტალიას ჯერ-ჯერობით... გასუფთავება ეჭირვება ზოგიერთ მიყრუებულს ქუჩებს და მათ კიდეებზედ გაყვანილს არხებს; სასტიკი თვალ-ყურის გდება სჭირია საყასბოებს და ბაყლებს. ერთის სიტყვით ყოველივეს შემოვლა უნდა, თორემ ერთხელ თუ დატრიალდა ჩვენს ქალაქში ეს საშინელი კაცის მტერი,—მისი აცილება ერთობ ძნელი საქმე შეიქმნება მით უფრო, რომ თბილისი ფრიად მოხდენილს ნიადაგს წარმოადგენს ხოლერის ჩაბუდებისათვის: თბილისი ქვაბია—გარ-შემოვლებული გატიტვლებულის,სიპი გორებით,რომელთაც ზაფხულის სიცხე ასე საშინლად ახურებს და ამ სიმხურვალეს ჩავარდნილს ქალაქში ატრიალებს.

თელავის მომრიგებელ შუამავლად (მიროვოი პოსრედნიკად), როგორც შევიტყეთ, თ. დ. ჯორჯაძის მაგივრად დაუნიშნავთ თ. ს. ნ. ვეზირიშვილი.

ბორჩალოსთანა ნაყოფიერი მაზრა ძვირად მოიპოვება ჩვენს საქართველოში, მაგრამ ძნელი ეს არის, რომ ამ მხარეში ურწყავად თითქმის არაფერი მოდის, მაგრამ თუ სადმე წყალი ხვდება, მიწა ერთი-ორად და სამად მეტს იძლევა, ვიდრე სხვა ადგილებში. ამ ჟამად ორი ჩვენებური თავადიშვილი, თ. ალ. ო—ლიანი და თ. სვ. წ—ლი, რომელთაც კარგა დიდი მამულები აქვთ ბორჩალოში, შესდგომიან არხების გაყვანას, მდ. ხრამიდამ და სურთ რამდენიმე ათასი დღიური ურწყავი სარწყავად გადააქციონ. მეოთხედი ამ არხებისა კიდეც გაუთავებიათ და იმედი აქვთ, რომ შემოდგომისათვის მთლად დაასრულებენ. ჭეშმარიტად თანაგრძნობის ღირსნი არიან თ.თ. ო—იანი და წ—ლი ამ გვარად მამულის გაუმჯობესობისათვის.

“მოსკოვის უწყებანი» გვაცნობებენ, რომ ფინანსთა მინისტრს მიწერ-მოწერა გაუმართავს ქვემდებარე უწყებებთან კასპიის იქითა მხარეში აქციზის წესების შემოღების შესახებ. ამ საგანზედ თვალ-ყურის ჭერა მინდობილი ექნება კავკასიის აქციზის სამმართველოს.

გაზეთს „ვოსტოკში“ ვკითხულობთ: «ამ ახლო ხანში უწმიდესი სინოდი განიხილავს ქართველების საჩივარს ათონის მონასტრის შესახებ, რომლის დაბრუნებასაც იგინი თხოულობენ, რადგანაც წინად იგი მათ ეკუთვნოდათ. სამწუხაროდ მათნი საბუთნი და უფლებანი ივერიის მონასტრის შესახებ მცირენი არიან. რომ საქმის გადაწყვეტა თვით ჩვენს სინოდზედაც იყოს დამოკიდებული, მაშინაც არაფერი გამოვიდოდა სასარგებლო ქართველებისათვის, რადგანაც ბერძნებს უფრო მკვიდრი საბუთები უჭირავთ ხელში და თვით მონასტერიც არა ერთხელ აღუდგენიათ და განუახლებიათ. ბერძნების სასარგებლოდ დანახარჯის გადახდა-კი ქართველებს არ შეუძლიანთ.

ჩვენ რასაკვირველია სულით და გულით გვინდა, რომ ივერიის მონასტერი ქართველებს ეკუთვნოდეთ. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ ქართველი ბერები ახალს მონასტრებს-კი არ აშენებდნენ, არამედ შედიოდნენ ივერიის მონასტერში და როდესაც მათი რიცხვი ბერძენთა ბერების რიცხვს აღემატება, მაშინ თვით მონასტერიც ქართველებისა გახდება. სამწუხაროდ ქართველებმა თავის დაუდევრობით არა ერთი მონასტერი და ტაძარი დაკარგეს ათონის მთაზედ და იერუსალიმში. ამას წინად ბიჭვინთის ძველი სობოროც პანტელეიმონის ბერებს გადასცეს. სწორედ სამწუხარო და სავალალოა!

† ამ თვის 6-ს ქუთაისში გარდაიცვალა 97 წლის მოხუცი გრიგოლ ივანეს ძე მაისურაძე. განსვენებული მხატვრობის მასწავლებელი იყო ქუთ. სავ. გიმნაზიაში და ამ გიმნაზიის მას-

## უბრალო ამბავი

ეტიუდი.

„Es ist eine alte Geschichte,
Doch bleibt sie immer neu“.
Heine.

(დასასრული *)

— «ეხლა ისევ ლუკას დავუბრუნდეთ. დიდი ხანია მე ის აღარ მენახა. ჩემი ბავშობის საყვარელ ამხანაგის ნახვა ძლიერ მომენატრა. უაზრო, უნაყოფო ხეტიალი მომბეზრდა, გამუდმებულმა ზნეობითმა უკმაყოფილებამ დამქანცა,—ჩემმა აუტანელმა სულის მდგომარეობამ უაღრესს ხარისხამდე მიაღწია... მე იმ დროს თბილისში ვცხოვრებდი ერთის ჩემის ნაცნობისას. მაისის გასული იყო. ქალაქში კარგად ცხელოდა. სამშობლო სოფელი თავის გრილის, სუფთა ჰაერით და დაჩრდილულის ტყეებით ალერსიანად შორიდამ მიწვევდა თავისთან, თითქოს ძვირფასი დედა, რომელსაც სურს გადაეხვიოს და ანუგეშოს თავზედ ხელ-აღებული და გზა-დაბნეული შვილი... ამასთანავე იმედი მქონდა, რომ იქ ლუკას შევეყრებოდი... მე გადავსწყვიტე წასვლა. ერთს მშვენიერს დილას ჩავჯექი ვაგონში და საღამოს აქ გავჩნდი; ღამე აი ამ ოთახში გავათიე. მეორე დღეს ადრე ტროიკა დავიჭირე და გავსწიე... უცხო ტაროსი იდგა. მზე ნელ-ნელა ამოდიოდა მთებს გადაღმა და აღვიძებდა ბუნებას თვისის ცხოველის სხივებით. მთვარე ჯერ კიდევ მკრთალად იყურებოდა ცის კამარიდამ, თითქოს შეშინებული უფროსის მოძმისაგან. დაკამკამებულს გაზაფხულის ჰაერში გაისმოდა ფრინველთა სასიამოვნო გალობა. ბუნება ზამთრის ძილის შემდეგ გაცოცხლებულიყო და პატარძალივით მწვანე სამოსლით მოკაზმულიყო... მსუბუქს დილის ნიავს მოჰქონდა ჩემკენ ახლად გადაშლილის ყვავილების სურნელება... მეც თითქოს ვცოცხლდებოდი ბუნებასთან ერთად. ვგრძნობდი, რომ სისხლი უფრო მძლავრად გამორბოდა ძარღვებში და გული ნეტარებისაგან დამთვრალი მაგრად მიცემდა... ჩემი მეეტლეც ამ გვარსავე მდგომარეობაში იყო უთუოდ, და ეს აშკარად ეტყობოდა მოუთმენელს მათრახის ქნევასა და ყიჟინზე; ის შეუბრალებლად რეკდა ცხენებს, რომელთაც ოშხივარი ასდიოდათ... ჩვენ მივქროდით გზა-ტკეცილზე... ირგვლივ გვერტყა დაულეველი მინდვრები, მხოლოდ მარცხნით და მარჯვენით შორს ჰორიზონტზე ინთქებოდენ ცისფერს სივრცეში დანისლული მთები... ამ მინდვრებზედ ვხედავდი აქა-იქ გლეხკაცებს, რომელთაც უკვე მოეკიდათ ხელი თავიანთ მადლიანის შრომისთვის და ანოყიერებდენ მიწის ნიადაგს შუბლისაგან მოწურულის მარილიანის ოფლის წვეთებით... ისინი ჩემთან შედარებით ბედნიერნი იყვნენ!...

«შუადღის პირველი საათი იქნებოდა, ჩვენ რომ სოფელს ბ—ს მივუახლოვდით. დაღალული ცხენები ნელა მიდიოდენ. ჩემ წინ თან-და-თან იშლებოდა საყვარელი, ნაცნობი სურათები და მიღვიძებდა ჩემის ბავშობის ტკბილს მოგონებათა... აი, მარცხნით ის სერიც, სადაც მე და ლუკა ხშირად ვყოფილვართ; აქვე სდგას მაღალი ჭანდარი, რომელსაც გაუწვდია თავის სწორი, გრძელი ტოტები; სიცხისაგან დაქანცულები ხშირად გავწოლილვართ მის ჩრდილში მწვანე მდელოზე... მაგრამ ეს პატარა, ლამაზი ხის სახლი ვილასია? მე ის არ მაგონდებოდა... ეტყობოდა რომ ახლად აშენებული იყო. მე დავეკითხე ჩემს მეეტლეს.

—«ეს, ბატონო, სოფლის სკოლაა,—მომიგო მან და გაკვირვებით შემომხედა.

—«ვინ არის იქ მასწავლებლად?

ამ კითხვაზე მისი განცვიფრება გაორკეცდა, ერთი ალმაცერად შემომხედა, რამდენჯერმე თავი გაიქნია და გულ—ნაკლულის კილოთი მიპასუხა:

— «როგორ არ იცით, ბატონო? თქვენ, როგორც ვხედავ, აქაური უნდა იყოთ, და ვერ იცნობთ ლუკა ლასხაძეს, რომელსაც მთელი სოფე-

(* იხილე „დროება“ № 128.

წავლებელთა შორის ერთი უხუცესი ვეტერანთაგანი იყო. უმაღლესი განათლება არ მიელო მაისურაძეს, მაგრამ თვის ხელობაში დახელოვნებისა და ბუნებრივ ნიჭს მოკლებული არ იყო განსვენებული. ქუთაისში კერძო სახლებშიც და სხვა-და-სხვა დაწესებულებაშიაც ხშირად შეხვდებით განსვენებულის კალმით დახატულს სურათებს. ბევრი იკონოსტასი (კანკელი) გ. ი. მაისურაძის ნახელოვნებია ქუთაისის და ამის მაზრის სოფლების ეკლესიებში. ამ რიგად განსვენებულმა ცხოველი სახსოვარი დაუტევა იმ ქვეყანას, რომელსაც ღრმა მოხუცებამდის, შეძლებისამებრ, ემსახურებოდა.

## უცხოეთი

**ინგლისი.** უბრალო იყო მარკიზ სალისბიურის თხოვნა, რომ მისს ახლად გამომცხვარს სამინისტროს მოწინააღმდეგენი არ აღმოსჩენოდენ. მართლაც, გადაყენებულს ლიბერალურს სამინისტროს როგორ შეუძლია ბრმად გაჰყვეს კონსერვატიულ სამინისტროს დადგინებათა და მოსაზრებათ. გუშინ ლიბერალურს დასს ეჭირა ხელში სახელმწიფოს მმართველობა, იგი განაგებდა შინაგანს და გარეგანს პოლიტიკას, დღეს-კი გადააყენეს იგი და კონსერვატორებს მიანიჭეს მათნი უფლებანი. ლიბერალებს ჰსურდათ მშვიდობიანობის დაცვა და კონსერვატორებს თუ არა ჰსურთ ეხლავე ომის ატეხა, იმ გარემოებათ მაინც არ ეწინააღმდეგებიან, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ ეს ომი. ძირეულად განირჩევა შინაგან თუ გარეგან პოლიტიკაზე შეხედულება ამ ორის დასისა და მაშ, მოდი და გულ-დაწყვეტილი, გადაყენების გამო, ლიბერალური სამინისტრო დაითანხმე, რომ წინააღმდეგობას ნუ გაუწევ მას, ვინც შენი ადგილი დაიჭირაო. სხვაც რომ არა იყოს-რა—ლიბერალები იმ გარემოებას ვერ მოურიგდებიან, ვერ მოინელებენ, რომ ინდოეთის საქმეთა მინისტრად გახდა ცხარე მომხრე ომისა ლორდ ჩერჩილი.

მაგრამ ახირებული ის არის, რომ სანამ გლადსტონს ხელთ ეპყრა მეთაურობა, მანამ პალატათა წევრების უმეტესობა, ამ უკანასკნელ ხანებში გარეშე პოლიტიკის გამო, მოწინააღმდეგენი იყვნენ მისი და ხშირად იმარჯვებდა ხოლმე კონსერვატიული დასი პალატის სხდომებზე... და ეხლა, როცა გლადსტონი გადადგა—ამის მომხრეთა სია უფრო გავრცელდა თითქოს. ამ გარემოებას ხელი შეუწყო, სხვათა შორის გლადსტონის უარჰყოფამ გრაფის ტიტულისა, რომელზედაც დედოფალმა წარადგინა იგი. გლადსტონი ბიკონსფილდისებრ ვერ შეაცდინა ამ ღირსეულმა ხარისხმა და მან არჩია დარჩეს ისევ იმ ისტორიულად განთქმულის სახელით, ვინემ მიიღოს რაიმე ბრწყინვალე—ხარისხი. არ დასთანხმდა გლადსტონი ლორდთა პალატაში წევრად შერიცხვაზედაც, რადგან იგი ამ პალატას მუდამ მავნე, უსარგებლო დაწესებულებად სახავდა.

**ოსმალეთი.** იტალიურს გაზეთს «Roma»-ში დაბეჭდილია ვრცელი პოლიტიკური წერილი, რომლის დამწერი ბეჯითად დაჯერებულია რუს-ოსმალოს მჭიდრო დაკავშირებაზედ. სტამბოლში ამ ჟამად ყველას ესმისო,—ამბობს ავტორი წერილისა—რომ არავითარი სარგებლობა არაა ოსმალეთისათვის ინგლისის ნების და სურვილის გაყოლა, ინგლისის მომხრეობაო. ინგლისი, ჩვეულებრივ, წაუსისინებს ხოლმე ოსმალეთს რუსეთზე და როდესაც ეს მერე თვისის ძლიერებით თავ-დაესხმის, მასთან შედარებით, უძლურს ოსმალეთს, მაშინ ინგლისი განზე გადგება, შორიდამ უცქერის. მაგალითისათვის უკანასკნელ რუს-ოსმალოს ომზე უჩვენებს ავტორი. ევროპის სხვა სახელმწიფონიც იმ აზრისანი არიან, რომ ჩრდილოეთის ძლიერი სახელმწიფო (რუსეთი) არ უნდა დაუახლოვდეს ბოსფორსაო, მაგრამ მხოლოდ ერთს ოსმალეთს აღობვინებენ გზას. აი, რას გამოსთქმენ ამ ჟამად ოსმალნიო—ამბობს ავტორი: «თუ ლომი (ინგლისი) დაეტაკება რუსეთს, ეს ჩვენ გაგვანადგურებს სრულიად და დანარჩენი ჩვენი ევროპიელნი მოყვასნი დაინაწილებენ ჩვენს ქვეყანას. უმჯობესია რუსეთს მივეკედლოთ, ყოველს შემთხვევაში». ოსმალნი დარწმუნებულნი არიან, რომ მათ აზიაში უნდა ეძებონ თავის-დახსნა, აქ შეუძლიათ მათ გამაგრება და არა ევროპის ოსმალეთში: ხონთქარს, როგორც ხალიფს შეუძლიან ასი მილიონი კაცი იყოლიოს აზიაში, მაშინ როდესაც მისი ევროპის სამფლობელონი შეადგენენ ერთს ნაკუწა ადგილს, რომელზედაც მას სიბრალულით თუ აბატონებენ. ევროპაში იგი ვასალია თითქმის; აზიაში-კი მას შეუძლია განუსაზღვრელ მეუფედ გახდეს. ევროპაში ხონთქარს სჭირია ინგლისის მფარველობა, აზიაში-კი ინგლისისათვისაა საჭირო ოსმალეთის მეგობრობა. აზიაში თვისი გავლენის გაძლიერება უ-მოკავშირეოდ არ შეუძლიან ოსმალეთს და ესეთ მოკავშირედ მას გაუჩნდება მხოლოდ ერთი რუსეთიო...

## ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი"

იენისის 17-ს.

**პეტერბურგი.** ლონდონში მისული ამბავი ბადაქშანში არეულობის თაობაზე პეტერბურგში მართალი არა ჰგონიათ.

**არხანგელსკი.** დ. მ. ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სოლოვეცის მონასტერში მოვიდა.

**ლონდონი.** სალისბიურის კაბინეთს, როგორც სჩანს, სურს შეუდგეს კვლავ აქტივურ პოლიტიკას ეგვიპტის შესახებ და ჯარებით ხელ-ახლავ დაიჭიროს დონგოლა, საიდამაც გამოვიდა ბრიტანიის ჯარი.

**ფრანკფურტი მაინზე.** დღეს დაიწყო საქმე ხარაზის ლიქსისა, რომელსაც ბრალდება პოლიციის მოხელის რუმპფის მოკვლა.

იენისის 18-ს

**პეტერბურგი.** მერვში გაიხსნა ტელეგრაფის სტანცია.

პეტერბურგის ქარხნებისა და ფაბრიკების პატრონები შეიკრიბნენ და გადასწყვიტეს შეიმუშავონ პროექტი წესდებისა მუშების დაზღვევისა უბედურ შემთხვევათაგან; გადასწყვიტეს აგრეთვე მოიწვიონ ყველა ქარხნისა და ფაბრიკების პატრონები მონაწილეობის მისაღებად და სთხოვონ ფინანსთა სამინისტროს სესხის მიცემა მართებლი თანხისათვის.

**ვენა.** კოროლი მილანი გუშინ სერბიაში დაბრუნდა.

**ბრიუნი.** ნემეცების ხორის საზოგადოებათა დღესასწაულობის გამო

---

ლი პატივსა სცემს?.. ის არის ამ სკოლის «უჩიტელი».

„ამ ამბავმა მეტად მასიამოვნა. მე ვუთხარი მეეტლეს, რომ სერთან მიმიყვანოს, და გადავახვევინე ტროიკა გზა-ტკეცილიდამ. მივედით თუ არა, ერთი აბაზი ვაჩუქე მეეტლეს, რისთვისაც მან ქუდი მოიხადა და მადლობა გამომიცხადა. მე აჩქარებით შევუდეგ აღმართს. მაღლა რომ ავედი, დავინახე ფართო, სუფთა მესრით შემოვლებული ეზო. ორმოცამდე ბავშვებს ესეც იყო სწავლა გაეთავებინათ და ზოგი ჩანთა-გადაკიდებული, ზოგი წიგნებით ხელში სივილ-ქლივილით გამოდიოდენ სკოლიდამ. როცა მე დამინახეს, ერთბაშად დაწყნარდენ და ცნობის-მოყვარეობით დამიწყეს მზერა. მე ავედი ბალკონზე და თითქმის დავეჯახე ლუკას, რომელიც ამ დროს სახლიდამ გამოდიოდა. წარმოიდგინეთ მისი გაკვირვება და ალტაცება, როცა მე დამინახა! ჩვენ ძმურად გადავეხვიეთ ერთმანერთს და მეტის სიხარულისაგამო დიდ-ხანს ხმის ამოღება ველარ მოგვეხერხებინა... ლუკა დავაჟკაცებულიყო; მისი სიმპატიური სახე ბუმბულივით რბილს პატარა წვერს შეემოსა და მაღალს გადაშლილს შუბლს კუპრივით შავი სქელი თმები უჩრდილავდენ. მას ტანთ-ეცვა უბრალოდ შეკერილი სუფთა თივთიკის ჩოხა, რომელიც ლაზათიანად უხდებოდა მის მოყვანილს მხარ-ბეჭს.

— «რო იცოდე, ვანო, რა რიგად გამახარა შენმა ნახვამ?.. რა ქარმა მოგიტანა ასე უეცრად, კაცო? საიდამ? როგორ?.. მე უნდა გითხრა, თითქმის სრულიად გადამიწყდა შენი ნახვის იმედი... მაგრამ... როგორც გატყობ, შენ უთუოდ უნდა გშიოდეს და დაღალულობაც გეტყობა. წამო. სადილი მზად არის.—ამ სიტყვებზე მან ხელი მომკიდა და სახლში შემიყვანა.

«ჩვენ გავიარეთ დიდს საკლასო ოთახში, რომლის კედლებზე ჩამოკიდული იყო აქა-იქ გეოგრაფიული რუკები, სხვათა-შორის ჩვენი ქვეყნისაც და სხვა-და-სხვა სურათები. ერთს კუთხეში გრძელი სკამების წინ ატუზულიყო დიდი დაფა, რომლის გვერდით იდგა უბრალო ხის სტოლი და სკამი მასწავლებლისთვის. საკლასო ოთახიდან მეორეში შევედით. ეს იყო პირველზედ უფრო პატარა, მაგრამ სუფთად და ლამაზად მორთული. ერთად-ერთს ვიწრო ფანჯარაში, რომელიც ამ დროს გაღებული იყო სუსტად შემოდიოდა დღის სინათლე, და ხან-დის ხან შემოიჭრებოდა გაზაფხულის სურნელებით შეზავებული წყნარი ნიავი და შეათამაშებდა სადა ჩითის ფარდებს; ფანჯრის წინ იდგა თეთრად შეღებილი სტოლი, ზედ ეწყო რამდენიმე წიგნი და ერთი მათგანი—«ვეფხის-ტყაოსანი» გარდაშლილიც იყო. ფანჯრის პირ-და-პირ ბუხრის თავზე იდგა მწვანე კამარიანი ლამპა, ორი თუ სამი ტლანქად გაკეთებული სკამი და კუთხეში დადგმული ლოგინი შეადგენდენ ლუკას ოთახის დანარჩენ მორთულობას. ყველაფერს სისუფთავე და რიგიანობა ეტყობოდა.

— «დაჯექი, ვანო! მითხრა ლუკამ —მე შენ ერთი ვინმე დედა-კაცი უნდა გიჩვენო, ეხლავე მოვალ ის გავიდა მეორე ოთახში.

«ცოტა ხნის შემდეგ ლუკამ შემოაღო კარი, და მას შემოჰყვა შუა ხნის მაღალი ტანის ქალი. მე მაშინვე ვიცანი.

— «სალომეს ვახლავართ!—მივესალამე სალომეს—მადლობა ღმერთს, რომ ყოჩაღად გხედავთ! ჭეშმარიტად ბედნიერი ხართ, რომ ამისთანა კარგი შვილი გყავთ! «მან ვერ მიცნო და სახეში ჩამაცქერდა. მაგრამ, როცა ლუკამ გაახსენა ჩემი სახელი და გვარი, ის გადამეხვია, თითქოს თავის საკუთარს შვილს და დამიკოცნა მთელი პირის-სახე.

— «ოჰ ჩემო ძვირფასო, ჩემო კეთილო ბატონის შვილო! მეუბნებოდა ათრთოლებულის ხმით. რა ღმერთი გამიწყრა, რომ ვერ გიცანი? როგორ დავბრმავდი ასე?.. ვმადლობ ჩემს გამჩენს, რომ შენი ნახვა მაღირსა... მარტო ღმერთი გადაგიხდის მას, რაც ჩემს ლუკას სიკეთე უყავი! მე იმის გადახდა არ შემიძლია... ოჰ, როგორ გამოცვლილა, გაზდილა ჩემი კეთილი, ლამაზი ბატონი!.. როგ...

— «კმარა, კმარა, დედავ, გააწყვეტინა ლუკამ სიტყვა.—ამ კაცს მგელსავით შიან... ჯერ ვაჭამოთ რამე და მერმე თუნდა საღამომდინ ვილაპარაკოთ. მე სუფრას გავშლი, შენ კი საჭმელი მოგვიტანე, თუ რამ მოგვეძევება...

მოხდა შეტაკება ნემეცებისა და ჩეხების შორის, რამდენიმე კაცი დაასტუსადეს.

დრეზდენი. ბევრნი აქ მცხოვრებნი ჩეხნი ქალაქიდამ გაგზავნილ იქმნენ სოციალისტურ აგიტაციის გამო.

პეტერბურგი. უმაღლესად ნაბძანებია, რომ წრეულს დამატებითი გარდასახადის შემოტანის ვადად დანიშნულ იქმნას ოქტომბრის პირველი. ჯარიმა უნდა გადახდეთ მხოლოდ იმ პირთ, რომელნიც ამ ვადამდე არ შემოიტანენ დაწესებულს გარდასახადს.

## ბირჟა

### პეტერბურგი ივნისის 18.

| | |
|---|---|
| 100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე— — | $24\frac{5}{32}$ $24\frac{5}{16}$ $24\frac{3}{16}$ |
| 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე— — | $205\frac{3}{4}$ 206 $206\frac{1}{2}$ |
| 100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე — — | $254\frac{1}{2}$, 255 |
| პოლუიმპერიალები — | 8 მ. 18 კ. გაყ. |
| ტამოჟნის კუპონები — | 8 მ. 15 კ. გაყ. |
| ვეცხლის მანათი — | 1 მ. 29 კ. გაყ. |
| ბირჟის დისკონტი— — | 6 და $6\frac{3}{4}$% |
| 5% ბილეთები სახემწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — — | 99 მ. გაყ. |
| მეორე გამოცემისა — | $97\frac{1}{2}$ მ. გაყ. |
| მესამე გამოცემისა — | 97 მ. 87 კ. გაყ. |
| მეოთხე გამოც. — — | 97 მ. 37 კ. გაყ. |
| მეხუთე გამოც. — — | $97\frac{1}{2}$ მ. გაყ. |
| 5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მან. — — | $95\frac{3}{4}$ მ. გაყ. |
| მეორე გამოც. — — | $95\frac{3}{4}$ მ. გაყ. |
| მესამე გამოც. — — | $95\frac{1}{2}$ მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა — | $225\frac{1}{2}$ მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა— | $202\frac{1}{2}$ მ. გაყ. |
| ოქროს რენტა — — | 169 მ. 62 კ. გაყ. |
| თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— — — | 27 წ. 89 მ. გამყ. 43 წ. $88\frac{3}{4}$ მ. გამყ. |
| ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. | 18 წ. 91 მ. გამყ. 43 წ. 90 მ. გამყ. |

## ცნობანი

საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშევი ამით აცხადებს რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ექიმები:**

არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

კორონა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიქ-ფარსადაგოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

ფილჩაკოვისა, სამშაბათობით.

ბაგინოვისა, ორშაბათობით და პარასკევობით.

სტეფანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლოქშისა, ხუთშაბათობით და კვირაობით.

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დააარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავადმყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ საბებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის; საწამლებლად ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—საქირურგო, სიფილისის ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ქირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

## რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის

**თბილისიდამ ბათუმისაკენ**

8 საათზე და 35 წამ. დილით.

**ბათუმიდამ თბილისში შემოდის**

10 საათ. 25 წამ. ღამით.

**თბილისიდამ ბაქოსკენ**

10 საათზე 55 წამზე ღამით.

**ბაქოდამ თბილისში შემოდის**

8 საათ. დილით.

**თბილისიდამ სურამისაკენ**

3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.

**სურამიდამ თბილისში შემოდის**

8 საათზედ 24 წამ. დილით.

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 16 თიბათვიდამ 1 კათათვემდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| ქართულის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2\frac{1}{2}$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2 კ. |
| **იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:** | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4\frac{1}{2}$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ. | $2\frac{1}{2}$ |
| **ჯვარის-მამის პური:** | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4\frac{1}{2}$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3\frac{1}{2}$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| **მროხის ხორცი:** | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი— — — | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი— | —1 | გ. | 8 კ. |
| **ღორის ხორცი:** | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | |
| მეორისა — | —1 — | გ. | |

# განცხადებანი


## გამგე კომიტეტი

### თბილისის სათავად-აზნაურო სკოლისა

აცხადებს, რომ წელს გაიხსნა რვა ვაკანსია საზოგადოების სრულს ხარჯზედ მყოფ პანსიონერებისა და ხუთი ვაკანსია ნახევარ ხარჯისა, ესე იგი ათ თუმნიან პანსიონერებისა; ეს ვაკანსიები საზოგადოების წევრთა მოთხოვნილებით გამგე კომიტეტმა გაანაწილა მიხედვით იმ მონაწილეობისა, რომელიც აქვს მიღებული თვითეულს თბილისის გუბერნიის მაზრას სათავად-აზნაურო ბანკის დაფუძნებაში. ამ ნაირად ერგო: 1) სიღნაღის მაზრას სამი ვაკანსია საზოგადოების ხარჯზედ და ორი-ნახევარ ხარჯზედ; თელავის და გორის მაზრებს—ორ ორი საზოგადოების ხარჯზედ და თითო ვაკანსია—ნახევარ ხარჯზედ; თბილისის და დუშეთის მაზრებს, ორივეს ერთად,—ერთი საზოგადოების სარჯზედ და ერთი ნახევარ ხარჯზედ,—ეს გადაწყვეტილება კომიტეტმა აცნობა მაზრის მარშლებს იმ


«მალე სუფრასაც მივუსხედით. სალომე სულ იმას სტიროდა, რომ ეს სოფლური სადილი ვითომც საჩემო არ იყო; მაგრამ სამაგიეროდ ხვალ მშვენიერს საჭმელებს მოგართმევო, მანუგეშებდა ის.

— «ახლა დაწვრილებით მითხარი შენი ამბავი,—მომიბრუნდა ლუკა სადილის შემდეგ. სად იყავი, რას შვრებოდი? აბა, ჩქარა, ჩქარა მოჰყევი!

— «არა, ჯერ შენი თავ-გადასავალი გავიგო!

— «ჩემი თავ-გადასავალი! ეს რამდენიმე სიტყვით შემიძლია გარდმოგცე. შენ რომ რუსეთში წახვედი, მე და დედა ჩვენს პატარა ქოხში ვსცხოვრობდით და ხშირად თქვენს ოჯახშიაც დავდიოდით. ერთი წლის შემდეგ ჩვენმა სოფლის საზოგადოებამ განიზრახა სკოლის დაარსება და მართალი უნდა სთქვას კაცმა, მალე შეასრულა თავისი სურვილი: სკოლა ორს თვეზე ააშენეს და მე მასწავლებლად დამნიშნეს. ჯამაგირი ორი თუმანი მაქვს თვეში, რაც სრულიად საკმაოა მე და დედიჩემისთვის. მე კმაყოფილი ვარ ჩემის ბედისა და შეძლებისამებრ ვასრულებ ჩემს დანიშნულებას. სოფელი კარგის თვალით უყურებს სკოლას, რადგანაც ხედავს, რო მე გულს-მოდგინედ ვეკიდები საქმეს; ყმაწვილების რიცხვი დღითიდღე მატულობს, ასე რომ შეიძლება მალე სკოლას გაფართოვება დასჭირდეს. აგრეთვე, თუ მოვახერხე, ვფიქრობ აქ პატარა ქართული წიგნების ბიბლიოთეკა დავაარსო, რომ ბავშვებს, და ხანდისხან დიდებსაც, საკითხავი რამ ჰქონდეს... სკოლასთან პატარა ბოსტანიც მინდა გავმართო, სადაც ყმაწვილებს შეეძლებათ იმუშაონ და ბაღოსნობის საქმე ცოტათი მაინც არის შეისწავლონ.

— «ბედნიერი კაცი ხარ, ძმაო!

— «მე მგონია, რომ ყველამ ბედნიერად უნდა ჩასთვალოს თავის-თავი, ვისიც სინიდისი წმინდაა, და ვინც ხედავს, რომ ის არ არის საზოგადოების უსარგებლო წევრი—ვისაც-კი თავის მოძმისთვის მცირეოდენი სარგებლობის მოტანა შეუძლია, მერწმუნე, ყოველთვის ბედნიერი იქნება. ეს შენ თვითონაც ჩემზე უკედ იცი.

— «მე ეს გრძნობა არ გამომიცდია, და არც ვიცი, გამოვცდი ოდესმე, თუ არა. მივუგე ლუკას მწუხარების ხმით.

— «რას ამბობ!... გაიცვიფრდა იგი.

«მე დაწვრილებით მოვუყევი ჩემი ცხოვრების ამბავი და მხოლოდ მაშინ დარწმუნდა, რომ რაცმე ვსთქვი, სრული სიმართლე იყო... სამი დღე გავათიე ლუკას სახლში და ყოველდღე ვხედავდი, თუ როგორის მეცადინეობით და სიყვარულით ეკიდებოდა ის თავის წმინდა მოვალეობას,—ბავშვების სწავლას. ამ წყნარის მუშაკის თავ-გამოდებულმა, სასარგებლო მოქმედებამ თითქოს ჩემს დაქანცულს, ავადმყოფს სულსაც მიანიჭა რაღაც ტკბილი მშვიდობა, თითქოს მეც გამიღვიძა გულში სუსტი იმედები... სამი დღის შემდეგ გამოვეთხოვე ჩემს მასპინძლებს, დავპირდი რომ კიდევ გნახავთ მეთქი, და აი, დღეს დილას აქ გიახელი... მომიტევეთ, თუ ჩემი ამბით თავი მოგაწყინეთ, მომიტევეთ»!..

ასე გაათავა ახალ-გაზდა კაცმა თავისი მოთხრობა და ჩაჰკიდა თავი. დიდ-ხანს იჯდა ის უძრავად გულხელ-დაკრეფილი და ღრმად დაფიქრებული; ნესტოების მოძრაობასა და შეჭმუხვნილ წარბებზე ეტყობოდა, რომ მის გულში ენთო ჯოჯოხეთური ცეცხლი, რომელიც შეუბრალებლად სწვავდა და ანადგურებდა მთელს მისს არსებას... რამდენიმე წამის უკან ის უეცრად წამოიჭრა სკამიდამ, აილო თავი მაღლა და ღრმად ამოიხვნეშა, თითქოს რაღაცამ სული შეუგუბაო; ბოლოს ორი სტაქანი ღვინო ზედი-ზედ გადაჰკრა და დაქანცულივით ულონოდ მიეგდო ტახტზედ...

— მომიტევეთ! მომიბრუნდა ის.— ძლიერ დავიღალე... უჰ!...

მე გაველი დერეფანში... ცხრა საათი იქნებოდა. რკინის გზის ვოკზალი გაჩაღებული იყო. ცეცხლით მატარებლები ქშენით მიდი-მოდიოდენ. ვარსკვლავები კაშკაშებდენ მუქს ცის ლაჟვარდში... აი, ერთი მათგანი მოწყდა კიდეც, მოშორდა თავის მოძმეებს და გაჰქრა სამუდამოდ ბნელს სივრცეში!. .

ჯიმ. გრემელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განზრახვით, რომ მათ მიიღონ ხოლმე ღარიბ მოწაფეთა მშობლების არზები, შეადგინონ მათი სიები და წარმოადგინონ სკოლაში ამ წლის მარიამობისთვის ოცამდის. ამასთანავე კომიტეტი აცხადებს, რომ შვიდის და რვა წლის მოწაფენი მიიღებიან რვა წლისა პირველ განყოფილებაში, ცხრისა—მეორეში, ათისა—მესამეში და თერთმეტისა—მეოთხეში; პირველ განყოფილებაში მოწაფენი მიიღებიან უეგზამენოდ და დანარჩენში—ეგზამენით მიხედვით იმ პროგრამისა, რომელიც დაიბეჭდა გაზეთს „დროებაში“, ამ წლის 125 №-ში. (1—1)

რადგან ზოგიერთა პირთ გამოაცხადეს სურვილი წინ-და-წინვე ხელის-მოწერისა

**სურათებიან ვეფხის-ტყაოსანზე,**

ამისათვის შევამზადებინე კვიტანციები და მსურველთ შეუძლიანთ ეხლავე შემოიტანონ ფული ან სრულიად, ან ნაწილ-ნაწილ „დროების“ რედაქციაში. ფასი სურათებიანი ვეფხის-ტყაოსნისა, იქნება **რვა მანათიდამ ათ მანათამდე,** ხარჯის კვალობაზე. **ხელის-მომწერი ფულის** შემოტანისათანავე მიიღებს კვიტანციას, თუ იგი **თბილისშია** და შემდეგი ფულის შემოტანის დროს ან ეს კვიტანციავე უნდა წარმოადგინოს, ან შეატყობინოს მისი №-რი. **თბილისის** გარეშე ხელის მომწერთა ფული უნდა გამოგზავნონ რედაქციის ადრესით და კვიტანცია მოთხოვნამდე რედაქციაშივე შეინახება.

სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსნის“ გამომცემელი

(25—22) გ. ქართველიშვილი.

## მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზია

# ქუთაისში.

ი ს ყ ი დ ე ბ ა: ყოველ-გვარი ქართული და რუსული წიგნები, რომელნიც სახელმძღვანელოდ არიან მიღებულნი ყველა სასწავლებლებში.

წ ი გ ნ ე ბ ი: საბავშვო, სამეცნიერო, იურიდიული და ბელეტრისტიული.

სამწერლო (კანცელიარიული) მოწყობილებანი და სხვა სასწავლო ნივთები: ქაღალდი, კალამი, კარანდაში, რვეულები სხვა და სხვა წერისათვის.

# ყოველივე ძლიერ იაფად.

ვსთხოვთ ბ. ბ. ზედამხედველთ და მასწავლებელთ ჩვენის მხრის სასწავლებელთა დროით გვაცნობონ—რა და რა სახელმძღვანელონი იქმნებიან საჭირონი მომავალ სასწავლო წლისათვის, რომ დროითვე შევუდგეთ იმ სახელმძღვანელოთა დაბარებას.

(50—3)

სამკურნალო სამმართველოსგან ნება-დართული

ალვის ხე ანუ




# ალვის ხის ბალზამი

მ. მ. პეტროვისა.

**პირისახისათვის. № 1.** გაუმჯობესებული საშუალება, რომელიც აქრობს ფერიმჭამელას, წითელს ლაქას, გარუჯლვას, ლუდუდებს; ამ საშუალების მხმარებელს პირისახე უსუფთავდება და ლამაზ ფერს იჭერს.

**თავისათვის. № 2.** ნამდვილად ასუფთავებს თავის კანს ქერტლისაგან, აგრილებს თავს, სპობს თავის ტკივილს, ამისათვის თმა აღარ ჩამოუვა. რადგანაც ამ წამალს ყალბსაც ეკეთებენ, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება ნიშანს (მ. მ. პეტროვი.)

ფასი ფლაკონისა **1** მ. **25** კაპ. და $^1/_2$ ფლაკონი **75** კაპ,

**უმთავრესი საწყობი:** აფთიაქებშია და მოსკოვის-სააფთიაქო ყველა მაღაზიებში.

**ისყიდება** რუსეთის და სამზღვარ გარეთელ აფთიაქებში და ყველა სააფთიაქო და სხვა მაღაზიებში.

ვინც ბლომად იყიდის მას % დაეთმობა.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ უმთავრეს საწყობში:

**მოსკოვი, ნიკიტის აფთიაქი პეტროვისა, წინად კელლერისა.** ფოსტით 3 მ. და 50 კაპ. ორს ფლაკონზედ ნაკლები არ გაიგზავნება.

Ц. 14120 (10—2)

# ალვის ხის ბალზამი

## დოქტორის ლენგილისა

საყვარელი სატუალეტო საშუალება მთელის განათლებულის ქვეყნების ქალებისა.

აძლევს კანს სპეტაკს სითეთრეს, სპობს ჭორფლს, ფერიჭამელას, ასუფთავებს მზისაგან გარუჯლულს სახეს, ასწორებს მოლმექილს ადგილებს და აძლევს კანს სინაზეს და ყმაწვილურს შესახედაობას.

მეტის მეტად სასიამოვნოა ხმარების დროს.

რუსეთში შემოტანა ნება დართულია ს.-პეტერბურგის სამედიცინო დეპარტამენტისაგან.

ბევრი სიყალბე სუფევს!! ამისათვის გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ შემდეგს: თეთრს რძის ფერს ფლაკონს, კაპსიულებზედ ავსტრიულს გერბს (არწივს), ეტიკეტს, რომელზედაც ფაბრიკის მარკაა (ქალი არყის ხის ქვეშ იმყოფება და სურა უჭირავს ხელში) და ვიწრო იარლიკს რუსულის ზედ წარწერით.

საშუალება ნაცადია 35 წლის განმავლობაში.

1884 წელს მილიონ ნახევარზედ მეტი ფლაკონია გაყიდული!!! ფლაკონი ღირს 1 მან. 65 კაპ. უცხო ქალაქების მცხოვრებნი 60 კაპ. გასაგზავნს უმატებენ.

იყიდება რუსეთის ყველა სააფთიაქო მაღაზიებში: **მოსკოვში რ. კელერთან და კომპ. ქ. ფერსინთან, გეშლინგთან, ბ. ბრუკსთან, ლიუშერთან, ბირშფელდინთან, მატესეისენთან, ს.-პეტერბურგში** სააფთიაქო საქონლის სავაჭრო რუსეთის საზოგადოებაში, **თბილისში** სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის საზოგადოებაში და მისსავე განყოფილებაში ქ. ბაქოს.

Ц. 12.233 (12—7)

ამა წლის, ივლისის **1**-დამ სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულ ქარვასლაში, გაიხსნება საწყობი

## ი. და პ. კლაუსის

პაისლეიში

# ქარხნის კოჭის ძაფისა

დაკლებულის ფასებით

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ე ბ ნ ე რ ი. (6—1)

წარმოგიდგენთ ჩვენს ქარხანას.

# იგი:

მართავს ყოველ გვარისა და ზომის ქარხნებს

—

ხელ-ახლად მართავს და დაშლის უკვე გამართულს ქარხანას, ანა და რომელიმე ნაწილს ქარხნისას

—

ამუშავებს გაუქმებულ მაშინებს და მართავს ახალს უფრო მოსახერხებელი სისტემის ფაბრიკებს.

ამზადებს შემოსავალ-გასავლის პროექტებს უმთავრესისა და რთულის გეგმებით.

—

აკეთებს მაშინებს, ორთქლის ქვაბებს, აპარატებს

და რაციონალურ მოწყობილობას და შესანიშნავის სისტემის ყოველ-გვარ მორთულობას..

—

იძლევა რჩევებს ყოველ-გვარ ტეხნიკურს საგნებზე.

**ადრესი: დომბროვსკი,** სამაშინო ქარხანა, დომბროვში, პეტროკოვსკის გუბ. ვარშ.—ვენის და ივანგ. დომბროვ. რკ. გზ. სტანცია. (3—1)

### ხვედურეთის მადნის წყაროები

ამა წლის ივნისის 10-დამ დასრულდა მოწყობა აბანოებისა; წყაროებზე შეიძლება იქონიოთ საჭმელ-სასმელი და სხვა გვარი მორთულობა, გარდა ლოგინის თეთრეულისა.

ნომერი მოსამსახურით და ორის ვანით დღეში—**2** მან. **50** კ.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ქარელის სტანციაზე თ-დს ავალიშვილს.

(3—3)

*Доз. ценз. Тифлисъ, 18 Іюня 1885 г.* მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.